№ 115

ოთხშაბათი, 3 ივნისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 115

ოთხშაბათი, 3 ივნისი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

კოლეჟსკი ასესორი ბექან დიმიტრის ძე ბექანიშვილი აცნობებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ხუთშაბათს, 4 ივნისს, დილის 9 საათზედ, მეორმოცე დღეს მისის მეუღლის

**ნატალიას,**

შალვა ტერიშვილის ასულის, გარდაცვალებისას, კალოუბნის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. (1—95—1)

კნეინა სოფიო იოსების ასული ვახვახოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას უძვირფასესის დედის

**პელაგია ივანეს ასულის ელიოზოვისას.**

განსვენებული დაკრძალულ იქმნება ოთხ თიბათვეს, დილის ათ საათზედ, ქ. თელავში. (1—96—1)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

**ბუნება და ცხოვრება**

ილ. ალ ხაზიშვილისა

ფასი 60 კაპ.

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა 48 კ. ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—6)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(...უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10\frac{1}{2}$—$11\frac{1}{2}$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11\frac{1}{2}$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1\frac{1}{2}$—$2\frac{1}{2}$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6\frac{1}{2}$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (Ÿ)

**ვკისრულობ**

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

პლანების აღებას და ნიველიროვკას.

ალექსანდრე გრიგოლის ძე სნექკოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

ტელეფონი № 567. (50—80—27).

## მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა მეხეთის ციხის საპიორთა რაზმის პორუჩიკი რჩეულიშვილი—აღმოსავლეთ-ციმბირის საპიორთა ბატალიონში.

# ახალი ამბავი

⁂ კავკასიის უმაღლესს მთავრობის წინადადებისამებრ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ უკვე წარუდგინა მას სია იმ სოფელთა, რომელნიც დაზარალდნენ წარსულის წლის მოუსავლობით. ამასთანავე საზოგადოებამ ხელ-ახლად დაიწყო შუამდგომლობა, რომ შემოწირულებათა შესაკრებად დაარსებულ იქმნას კომიტეტი და დაზარალებულთ მიეცეთ სესხი თესლის საყიდლად და სახელმწიფო გარდასახადი რამდენსამე წლად გაუნაწილეთო.

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გამოჰგზავნა კავკასიაში საგანგებო საქმეთა მოხელე ბ-ნი ხრისტიანოვსკი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს იმ თხოვნების განხილვის საქმეში, რომლითაც თხოულობენ, რომ ნება მოგვეცით სიღნაღის მაზრის ნავთის საგულვებელ მამულებში მუშაობა დავიწყოთო.

⁂ ბათუმის გიმნაზიის დირექტორი შუამდგომლობს მიწათ-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის წინაშე იმის შესახებ, რომ ბათუმის ოლქის აგარაკ ციხისძირში გადადებულ იქმნას 5 დესეტინა მამული გიმნაზიის მოსწავლეთა ახლშენის გასამართავადაო. ამ გიმნაზიასთან განზრახვა აქვთ რეალური კლასები დააარსონ სასოფლო სამეურნეო განყოფილებებით და ამ აზრით ახალშენში გაშენებულ იქმნება ხეხილიანი ბაღი და სხვა-და-სხვა მცენარეულობა.

⁂ მიწათ-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის მყოფობის დროს სოხუმში გამართულ იქმნა კრება სახელმწიფო საბჭოს წევრის აბაზას თავმჯდომარეობით. კრებამ მოილაპარაკა სოხუმის საცდელ სასოფლო-სამეურნეო სადგურის შესახებ და ის აზრი გამოსთქვა, რომ ნუ იქმნება გაუქმებული ეს სადგურიო.

⁂ ტფილისის მიწის-მზომელ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ ამ საზაფხულოდ ჰგზავნიან დ. ახალქალაქში პრაქტიკულად სამეცადინოთ.

⁂ ქალაქის გამგეობამ დაადგინა არხები გაიყვანოს ავჭალისა და რიყის ქუჩებზედ.

⁂ აზ. გიგინეიშვილმა უკვე აღიარა დანაშაული და სთქვა, რომ ...კი თავ. მელიქიშვილმა რევოლვერი ესროლა თავ. გურიელს, ამიტომ უკანასკნელის დასაცველად მეც რევოლვერი ვესროლე თავ. მელიქიშვილსაო. 28 მაისს იქმნა დაპატიმრებული გიგინეიშვილი.

⁂ ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსს ზედამხედველს, რომ ყველა ხორცის მოვაჭრისა და იმასთან მსახურის სია შეადგინე და გამოჰკიდე სავაჭრო პოლიციის კანტორებშიო. ეს განკარგულება იმან

# ფელეტონი

## საგარეჯოს საზიარო მამულების დაყოფვის შესახებ.

(დასასრული *)

გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე თვე და მე დავადგენინე საგარეჯოს საზოგადოებას ახალი განაჩენი, რომლითაც ორს ამორჩეულ კაცს ჩემის ხელმძღვანელობით ჩაჰბარდა ამ საქმის სრული წარმოება. იმათ უნდა გამუდმებით ევლოთ ქალაქს სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში და იმდენი მოებეზრებინათ თავი, სანამ ერთ რაიმე გარდაწყვეტილ პასუხს არ მიიღებენ. ამათ (გვიგულისხმეთ ჩვენ) თითქმის სრული წელიწადი სდიეს ამ საქმეს და მიიღეს ბოლოს ასეთი პასუხი. სახელმწიფო გლეხთ სახელმწიფო მამულები შეუძლიანთ გაიყონ ერთმანეთში თითონ სოფლის ყრილობის განაჩენების ძალით, ჩვენგან ნურას გამოელით, ჩვენ არ გაგიყოფთო.

ეს პასუხი საკმარისი იყო, რომ გიორგი-წმინდას უკან წაეღო ის საბუთი, რომელიც მას განგებ თითზედა ჰქონდა დახვეული და ნინოწმინდის საზოგადოებაც დარწმუნებულიყო, რომ წინანდელი მათის მწერლის ლაპარაკი მტკნარი სიცრუე იყო. მაშინ მე მაზრის უფროსის თანხმობით გამოვიწვიე ქალაქში სამივე საზოგადოების მამასახლისები ორ-ორის ამორჩეულის კაცით. გვინდოდა, რომ აქ ჩვენის თანადასწრებით მორიგებულიყვნენ ისინი ერთმანეთში და აქვე დაგვედო ის აზრი, თუ რა წესით უნდა მომხდარიყო საზიარო მამულების გაყოფვა. დიდი ხანი ივაჭრეს იმათ აქ ერთმანეთში, ბევრი იდავიდარაბეს,—ხან ერთი იბუტებოდა, ხან მეორე.

მიზეზი უთანხმოებისა ის იყო, რომ თუ ყველა მონაწილეს სიგრძეზედ მიჰზომოდა მისი წილადობა, მაშინ გიორგი-წმინდა ეძლეოდა თათრების პირში და ეს, რასაკვირველია, სამართლიანობა არ იქმნებოდა. მაშინ იმათ მოიფიქრეს ასე: ჩამოვჭრათ გიორგი-წმინდის მხრივ, თათრების საზღვარზედ ერთი რამ სიგრძის მამული და ამ მამულში ყველამ ჩავიდოთ წილი, რომ თათრებთან ჩხუბსა და დავაში ყველანი ვიყვნეთ მონაწილენი და არა მარტო გიორგიწმინდაო. მაგრამ არ დაეთანხმათ ნინოწმინდა, რადგან ეს თათრების საზღვარზედ წაჭრილი მიწა ძალიან შორს იქმნებოდა იმათთვის და დაკარგულივით გამოვიდოდა. ეს საბუთიც შეიწყნარეს დანარჩენმა მონაწილეებმა და ბოლოს ასე მოაგვარეს: ის, გიორგიწმინდის მხრივ თათრების პირი ჩასთვალეს მთელის მამულების ბოლოდ (გასადევრად) და აქ უნდა გამოსულიყო ყველას მონაწილეობა. აი თვით იმათი პირობის წერილი, რომელიც მათ დასდეს მაშინ ურთიერთ შორის, რომელიც დაედო საფუძვლად მამულების გაყოფვას და რომელიც სისრულით არის შეტანილი ყრილობის განაჩენებში.

„...1, მიეწყოს თვითეულ სოფელს თავისი წილადობა თავისის გასადევარით, ე. ი., მიეზომოს ყველა სოფელს თავის წილადობაზედ სიგრძის მამული, რომელიც უნდა იწყობოდეს შიგ სოფლის ბოლოში და თავდებოდეს ზედ გასადევარზედ, ხოლო გასადევარი ჰქვიან იმ ადგილებს, რომელიც იწყობა „საღორის ჩალის" ბოლოდგან და მისდევს ვიდრე „ტაირის გარდასახედამდე", იქ, სადაც „ჩამძვრალი ხევის" ბოლოში ზის ყორღანი; 2, გამოირიცხოს ანგარიშიდგან რიყეები, კლდეები და სრულიად უნაყოფო ადგილები და არავის მიეზომოს წილში, ხოლო მფლობელობა-კი მათი დარჩეს იმ სოფელს, ვის საზღვრებშიაც მოჰყვეს ის უსარგებლო ადგილები; 3, გამორიცხულ იქმნას აგრეთვე გასაყოფი მიწების ანგარიშიდგან წყლის გზები, თუ ამისთანა გზის დადება საჭიროდ აღმოჩნდეს ჩვენთვის მამულების განაწილების დროს; 4, სოფლების მონაწილეობის რაოდენობისათვის მიღებული უნდა იყოს კომლთ-აღრიცხვა უკანასკნელის კამერალიის აღწერით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სოფელს რამდენი მოაკლდა მას შემდეგ კომლი, ანუ რამდენი მოემატა; 5, გაჯის ადგილები, რომელიც ეხლა გვაქვს ამ მინდვრებში, უნდა დარჩეს საზოგადო სამფლობელოდ სამივე სოფლის საზოგადოებას და გამოირიცხოს იგიც გასაყოფ მინდვრების ანგარიშიდგან; 6, ნინოწმინდელებს და გარეჯელებს არ უნდა დაეშლებოდეთ ერთმანეთში წყლის გზა, უკეთუ ამას მოითხოვდეს საჭიროება შემდეგ მამულების გაყოფვისა; 7, წისქვილის პატრონებს, ვისაც სადა აქვთ დღეს წისქვილი, უნდა მიეზომოთ თავის წისქვილთან სრული სამყოფი ადგილი *), ხოლო მისივე ზომის სარწყავი ადგილი უნდა გამოერიცხოს იმ სოფელს, რომელსაც ეკუთვნის წისქვილის მეპატრონე და მიეზომოს იმ სოფელს, რომელი სოფლის საზღვრებშიაც მოჰყვება მისი წისქვილი. 8, უკეთუ ვისიმე აშენებული ვენახი დაჰყვება სხვა სოფლის საზღვრებში, მაშინ იმ ვენახის ზომისა და ღირსების მიწა უნდა მოაკლდეს იმ სოფელს, რომელსაც ეკუთვნის ვენახის პატრონი, და მიეწეროს ის მიწა იმ სოფელს, რომლის მიჯნებშიაც დაჰყვება ის ვენახი; 9, არხები, რაც-კი დღემდეა ამ მინდვრებში გაყვანილი, უნდა დარჩეს ხელშეუხებლივ, ხოლო სარგებლობა მათით და აგრეთვე შეკეთება მათი უნდა იყოს სოფლების წილადობის მიხედულობით; 10, ხარჯი მიწის მზომელისა და სხვა ყოველგვარი ხარჯები, რაც-კი ამ საქმეს დასჭირდება, უნდა მონაწილეობის მიხედულობით იკისროს ყველა სოფელმა; 11, წარედგინოს ეს ჩვენი მოლაპარაკების განაჩენი ტფილისის მაზრის უფროსს, თ-დ ლევან გიორგის ძე ჯანდიერს განსახილველად, და 12, უკეთუ მან თ-დ ჯანდიერმა, მოგვიწონოს ეს გეგმა, მოვალენი ვართ ამ ხელწერილში აღნიშნულის პირობებით დავადგინოთ ყველამ ჩვენ-ჩვენს სოფლის საზოგადოებაში ყრილობის განაჩენები ისე, როგორც დაგვარიგებს ბ-ნი მაზრის უფროსი, და შევუდგეთ კიდეც დაუყოვნებლივ მინდვრის გაყოფვას..."

ეს პირობის წერილი, როგორც შიგვეა მოხსენებული, წარუდგინეს მაზრის უფროსს; მოუწონათ მაზრის უფროსმა და იმათაც ერთის კვირის

*) იხ. „ივერია" № 114.

*) ეს რაოდენობა განსაზღვრულია შემდეგ განაჩენების ძალით 4 დესეტინად ანუ 8 დღიურად.

გამოიწვია, რომ ხორცით მოვაჭრენი ხშირად აყენებენ ხოლმე შეურაცხებას მყიდველებს და იმათი სახელი და გვარი კი გაუგებარი რჩებაო.

⁂ უკვე შემუშავებულ პროექტით კერძო საერობო გარდასახადის შესახებ, რომელიც გაწერილ იქმნა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მამულებზედ სამის 1898—1900 წლის ვადით, გამოირკვა ის, რომ ტფილისის მაზრაში სათავად-აზნაურო მამული 81,044 დესეტ. და სამის წლით გაწერილ იქმნა 1,620 მან. 88 კაპ.; გორის მაზრაში—216,098 დესეტ. და გაწერილია ამ ხნითვე—4,321 მ. 96 კ., თელავისაში—29,266 დესეტ.—585 მან. 32 კაპ.; დუშეთისაში—108,159 დეს.—2,163 მან. 18 კაპ.; სიღნაღისაში—63,846 დეს.—1,276 მან. 92 კაპ.; ბორჩალოსაში—198,026 დესეტინა—3,960 მან. 52 კაპ., თიონეთისაში—49,269, დეს.—985 მან. 38 კაპ., ახალციხისაში—6,564 დეს.—131 მან. 28 კაპ., ახალქალაქისაში—9,418 დეს.—188 მან. 36 კაპ., ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის მაზრაში—38,212¼ დეს.—2,006 მან. 16 კაპ., ოზურგეთისაში—81,701¼ დეს.—3,717 მან. 60 კაპ., შორაპნისაში—41,540½ დეს.—2,180 მან. 85 კაპ. და რაჭისაში—19,997¼ დეს.—1,049 მან. 85 კაპ. მთლად ორს გუბერნიაში—932,251¼ დეს. და გაწერილია 24,188 მან. 26 კაპ.

⁂ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ „ახ. მიმ.“-ს: „ქუთაისის [illegible] გენ.-ლეიტენანტი შალიკოვი დანიშნულ იქმნება კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსის განკარგულებაშიო“.

⁂ გაზ. „ტფ. ფურ.“ სიტყვით, ტფილისში არსდება მეაქციეთა საზოგადოება, რომელმაც უკვე შეიძინა გოლოვინის პროსპექტზედ რეიტერის სახლი 160 ათასი მანეთად. ამ საზოგადოებას აზრადა აქვს დაანგრიოს ყველა შენობა, რომელიც რეიტერის მიწაზედაა და აგოს ახალი შენობა „არტისტთა საზოგადოებისათვის“ და ცალკე თეატრი. შენობა სამ სართულიანი იქმნება: პირველში მაღაზიები იქმნება მოთავსებული, მეორეში-საკონცერტო დარბაზი და სადგომი „არტისტთა საზოგადოებისათვის“, ხოლო მესამეში სასტუმრო.

## ქალაქის საბჭო

1 ივნისი

პირველ ივნისის კრება მეტად შესანიშნავი და ღირს საყურადღებო კრება იყო. იმედი მაქვს, ეს სიტყვები მკითხველს შეცდომაში არ შეიყვანს და არ აფიქრებინებს, ვითომ ამ საღამოს ჩვენის კურთხეულის ქალაქის მამა-პატრონთ ქალაქის საკეთილდღეოდ რაიმე საშვილიშვილო საქმე გაეკეთებინოთ და ამისთანა უბრალო რამეზედ დრო დაეკარგათ. არა, ამ მხრივ ვურჩევ მკითხველს სრულიად დამშვიდებული იყოს. ჩვენის „პარლამენტის“ წევრებმა თავიანთი სახელი სულ სხვა გვარად ჰყვეს უკვდავი. მაგრამ უმჯობესი იქმნება თვით ამ კრების ანგარიშს შევუდგეთ.

წარსულ კრებაზედ ხმ. მირზოევმა მიჰმართა ქალაქის მოურავს და ჰკითხა: რა უფლების ძალით აძლევთ ნებას ფქვილის მოვაჭრეთ, რომ საწყობები გამართონ და ფქვილი ჰყიდონ თათრის მოედანზედ, მაშინ როდესაც ეს მოედანი სოფლელთათვის არის დანიშნულ და იქ მხოლოდ მათ შეუძლიანთ სანოვაგე ჰყიდონო? მოურავმა მისცა პასუხი: არც ქალაქის გამგეობას და არც საბჭოს არ დაუდგენია, რომ ეს მოედანი სოფლელებს დაეთმოს, ამიტომ ნება არა გვაქვს ფქვილის მოვაჭრეთ ავუკრძალოთ იქ საწყობების გამართვაო.

ხმ. მირზოევი. ქალაქის საბჭომ უკვე განაცხადა, რომ ეს მოედანი მეტად ვიწრო და პატარაა და სასურველია, რომ მოვაჭრეთაგან განთავისუფლებულ იქმნასო. მართლაც, მოვაჭრეთ მთელი მოედანი დაუჭერიათ და გავლის ნებასაც-კი არავის აძლევენ. საქონელი დუქნიდგან გარეთ გამოაქვთ და იქვე მოედანზედ აწყობენ, ასე რომ თვით მოვაჭრეს თავის დუქნის წინ რამდენიმე საჟენი ადგილი უჭირავს.

თავმჯდომარე ქალ. მოურ. ევანგულოვი. ეგ ლაპარაკი ეხლა მეტია: თუ გნებავთ განცხადება შემოიტანეთ, საბჭოს წარვუდგენ და ის განიხილავს. ეხლა-კი მაგ საგნის შესახებ ლაპარაკის ნებას აღარ მოგცემთ.

შემდეგ თავმჯდომარემ წაუკითხა საბჭოს ხმ. ა. ბ. ევანგულოვის განცხადება. ევანგულოვი ამბობს, რომ როდესაც კრება წინანდელის კრების გაგრძელებაა, გამგეობას იმ სიაში, რომელშიაც განსახილველი საგნებია ჩამოთვლილი, ახალი საგნებიც შეაქვს და ეს კი უკანონობაა.

თავმჯდომარე. სიაში საქმეების აღნიშვნა ქალაქის მოურავისაგან არის დამოკიდებული. ეს ასე ყოფილა წინად და შემდეგაც ასე იქმნება.

ხმ. ევანგულოვი. მოითმინეთ, როგორ თუ მოურავის ნებაა...

თავმჯდომარე. ამ საგნის შესახებ კამათს ვსპობ და ლაპარაკის ნებას არ გაძლევთ.

ხმ. ევანგულოვი. რა ამბავია, რატომ არ უნდა მოგვცეთ? მაშ აქ რას ვაკეთებთ, თუ კი არ გვალაპარაკებთ?

თავმჯდომარე. მე არ გაძლევთ ლაპარაკის ნებას. ბ-ნო მდივანო, გთხოვთ ოქმში შეიტანოთ, რომ ხმ. ევანგულოვს ლაპარაკის ნებას არ ვაძლევ.

(ხმ. ევანგულოვი, ხუდადოვი, ნ. ი. იამამშევი, ტიგრანოვი და სხვები ფეხზედ წამოდგებიან და ხმა მაღლა დაიწყებენ ლაპარაკს. ზოგი ამბობს: ეს რა ძალ-მომრეობაა! ზოგი—ლაპარაკს ვერავინ აღგვიკრძალავს, უნდა ვილაპარაკოთო).

ხმ. ტიგრანოვი. მაშ როდის უნდა მოგვცეთ ლაპარაკის ნება? წარსულ კრებაზედ ევანგულოვი სიტყვიერად შეგეკითხათ, თქვენ უთხარით ქაღალდი შემოიტანეთო. ქაღალდი შემოიტანა და ეხლა კიდევ ლაპარაკს გვიშლით. ეს სადაურია!..

თავმჯდომარე (ხმა მაღლა. გაჯავრებული). ვსთქვი და ვამბობ, რომ ამ საგნის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება. ეს ჩემი უფლებაა.

ევანგულოვი, ხუდადოვი, ტიგრანოვი (ერთად, ხმა მაღლა) რატომ არ შეიძლება?

თავმჯდომარე. გთხოვთ დაჩუმდეთ, თორემ სასტიკ ზომებს მივიღებ (საშინელი ხმაურობა ასტყდება. ესრედ წოდებული „ოპოზიცია“ მთლად ფეხზედ წამოდგება).

ხმ. ხუდადოვი. (ყვირილით) რა ძალიან გვაშინებთ მაგ თქვენის სასტიკის ზომებით. მოწყალება მოიღეთ და გვაჩვენეთ ეგ თქვენი სასტიკი ზომები!..

(სხვებიც რაღაცასა ჰყვირიან, მაგრამ ისეთი საშინელი ხმაურობაა, რომ არაფერი არ ისმის).

თავმჯდომარე. ვთხოვ საბჭოს ხმის უმეტესობით გადასწყვიტოს ეს საგანი. ვინც თანახმაა, რომ...

ხმ. ა. ს. ბაბოვი. მოითმინეთ! ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ. ის, რასაც თქვენს უფლებას ეძახით, თქვენი-კი არა, საბჭოს უფლებაა!

თავმჯდომარე. მე საბჭოსა ვკითხავ, ვინც თანახმაა, რომ...

(ხმაურობა სტყდება. არაფერი არ ისმის).

ხმ. ტიგრანოვი. (ხმა მაღლა) გთხოვთ ყუთი დადგათ და კენჭი უყაროთ მაგ საგანს.

თავმჯდომარე. ვინც თანახმაა, რომ...

ხმ. ტიგრანოვი. (იმეორებს) გთხოვთ კენჭი უყაროთ მაგ საგანს.

თავმჯდომარე. ინებეთ, ბ-ნო მდივანო, ყუთი მოატანინეთ.

ხმ. ტიგრანოვი. (თავმჯდომარეს) უნდა ყური დაუგდოთ და კაცს არაფერი არ გაამეორებინოთ ერთი და იგივე.

ხმ. ევანგულოვი. ნება მომეცით ორიოდე სიტყვა ვთქვა.

თავმჯდომარე. არ მოგცემთ!

(ხმები: მიეცით, მიეცით, სთქვას რა უნდა).

თავმჯდომარე. (ევანგულოვს) ბრძანეთ!

ხმ. ა. ევანგულოვი. თავმჯდომარე ამბობს, რომ ეს საქმე ჩემგან არის დამოკიდებულიო, უფლება მაქვს და სიაში, რომელ საგანსაც მინდა, იმას აღვნიშნავო. მე მთელის ქალაქის დებულება გადავსინჯე, მაგრამ იქ არსად არ არის ნათქვამი, რომ ქალაქის მოურავს ასეთი უფლება ჰქონდეს.

თავმჯდომარე. აი, ეხლა კენჭსა ვყრით და გადასწყდება ეგ საქმე.

ხმ. ტიგრანოვი. ჯერ გთხოვთ ლაპარაკის ნება მოგვცეთ და მერე უყარეთ კენჭი.

თავმჯდომარე (ყვირილით). კმარა ამდენი ლაპარაკი: მე ჩემის ნებით გიკრძალავთ ლაპარაკს და ამასთან აღარც კენჭის ყრას მოვახდენ. თუ გნებავთ, მიჩივლეთ.

(ხმოსნები ფეხზედ წამოდგებიან საშინელი ხმაურობა და აურზაური ასტყდება).

ხმები: ვინ მოგანიჭათ ეგ ნება!

თავმჯდომარე. კმარა. მე გიკრძალავთ მაგდენს ლაპარაკს (ყვირილი).

ხმ. ხუდადოვი. რა ამბავია? რას ნიშნავს ეგ თქვენი „კმარა“. ბავშვები ხომ არა ვართ, აგრე რომ გველაპარაკებით. თქვენ ბევრს უფლებას ჩემულობთ.

თავმჯდომარე. მე ასე მწადიან. წადით და სადაცა და ვისთანაც გნებავთ, მიჩივლეთ.

შემდეგ თუმცა საბჭო ახალის საგნის განხილვას შეუდგა, მაგრამ უკმაყოფილო ხმოსნები მაინც არ დაწყნარდნენ და კანტი-კუნტად მათი ბუტბუტი მაინც გაისმოდა.

დასასრულ, რამდენისამე უმნიშვნელო საგნის განხილვის შემდეგ, თავმჯდომარემ განაცხადა, საბჭომ ამას წინად გარდასწყვიტა გადასდოს 180 ათასი მანეთი ცხენის-რკის გზის საწარმოებლად საჭირო მასალის შესაძენად. როგორც ვუწყით, წინად უსახელო საზოგადოება უარს ამბობდა, მასალასა და საქონელს არ მოგყიდითო, ეხლა-კი ქაღალდი მოგვივიდა, რომელშიაც საზოგადოება აცხადებს თანახმა ვარ მოგყიდოთ ცხენის რკინის გზის საწარმოებლად საჭირო მასალა და საქონელი 242 ათას მანეთადაო. შეიძლება საბჭომ შეიწყნაროს ეს წინადადება და ამიტომ ყოველისავე ამის შეძენა სხვაგან არ მოგვიხდეს.

ხმ. ხუდადოვი. მაგ საგანს ეხლა

---

განმავლობაში დაამზადეს სრული განაჩენები. შემდეგ ვუშოვნეთ მიწის-მზომელი, კაცი ყოვლად კეთილსინიდისიერი და საიმედო ქართველი და იმასაც დაუყოვნებლივ შეეკვრნენ პირობის წერილით.

ოთხის თვის შემდეგ, სწორედ კვირაცხოვლობა დღეს, როდესაც მიწის-მზომელს აქ უკვე ყველაფერი დაემზადებინა და მიდიოდა ადგილას გასამიჯნად, მეც დაპირებისამებრ წავყევი თან. მე წინადვე პირობა მქონდა ჩამორთმეული, როგორც მიწის-მზომლისაგან და ბ-ნ მაზრის უფროსისაგან, აგრეთვე ყველა მონაწილეთა მამასახლისებისაგან და ამორჩეული კაცებისაგან. უნდა წამოსულიყო აგრეთვე ბ-ნი მაზრის უფროსიც, მაგრამ ერთი მოულოდნელი გარემოებისა გამო, ის ველარ დაესწრო.

მიწის-მზომელმა მიუზომა ყველას თავ-თავისი წილადობა სისრულითა და უნაკლულოდ, სწორედ ისე, როგორც განაჩენებში იყო დაწვრილებით აღნიშნული და რაც მას ხელთ ჰქონდა საბუთად. თითო რამ უთანხმოება ყველა მათგანმა გამოაცხადა, მაგრამ ყველანი ხელადვე რიგდებოდნენ, გიორგი წმინდელების გარდა. ესენი ახირდნენ ჟინიან ბავშვივით და ყველაფერს იმიზეზებდნენ, ხან რა დაიხვიეს ხელზედ, ხან რა, ხან რა მოიმიზეზეს,—ხან რა, რომ როგორმე არევ-დარეულობა გამოეწვიათ და საქმე კვლავ ჩაეშალათ. მაგრამ, მათდა საუბედუროდ, რაც-კი მიზეზი გამოჩიკეს, ყველა ამ მიზეზს მის მოზიარე გარეჯელებმა და ნინოწმინდელებმა წამალი გამოუძებნეს, მალამო დასდეს და ხმა ჩაადაბლებინეს და უკანასკნელად გადაბრჯნილმა გიორგიწმინდელებმა ჩაჰკიდეს ხელი და წამოაყენეს ზეზედ „ალინჯა“. ეს-და იყო მათი უკანასკნელი ღონე, მათი უკანასკნელი ტყვია-წამალი, და თუ მიაღწევდნენ სურვილს, სწორედ ამ საბუთით.

„ალინჯა“ არის სამას დესეტინამდე საფიჩხე ადგილი; მიკერებული აქვს ზედ გიორგიწმინდას და როგორც ნამდვილი კარის მამული, როგორც ნამდვილი ეზო, ისეა ეს „ალინჯა“ გიორგი-წმინდელებისათვის. არავისი სამხრო არ არის ეს ადგილი, გარდა გიორგი-წმინდისა, თავისის, ზედ დართულის, ანთოკით. აქ სჭრიან ფიჩხსა და თრიმლს, აძოვებენ საქონელს. ჩამოუდის ზედ შუაზედ ამ საფიჩხეს ერთი უხეირო ხევი, რომლისაგანაც კაი მოზრდილი ნაწილი „ალინჯისა“ მირიყულია და აი ამ უკანასკნელის მოსაზრებით, რადგან რიყიანი ადგილებიც არის საფიჩხეში, გიორგიწმინდელებს ჰსურდათ, რომ მთელი „ალინჯა“ ჩაეთვალათ სრულიად უვარგისად და მიეწყოთ მათთვის უწილოდ. ხევები თავისის რიყით განაჩენების თანახმადა, უიმათოდაც გამოსული იყო მამულების საზოგადო ანგარიშიდგან; რაიცა შეეხება იმას, რომ მთელი ალინჯაც სრულიად გამოუსადეგრად ჩაეთვალათ, ამას, რასაკვირველია, არ მოუწონებდნენ სხვა მონაწილენი და არ დასთანხმდებოდნენ. აი რისთვის: ჯერ ისეც, რაც-კი ერგო გიორგი-წმინდას, სულ საუკეთესო და შიგ არჩეული მამულები ერგო. განაჩენების თანახმად, ყველას უნდა მიეღო სიგრძის მამული თათრების სამიჯნობელამდე და ეს სიგრძის მამული გიორგი-წმინდისა ისეთი მოჰყვა, რაც ნამდვილად თვალია მთელი საგარეჯოს საზიარო მამულებისა. არ დასთანხმდებოდნენ კიდევ იმისთვის, რომ სხვა მონაწილეებს უფრო ბევრად მეტი და უფრო მეტად უსარგებლო მამულები ერგოთ თავის წილში. თუ ვინმე განაცხადებდა უკმაყოფილებას, უნდა განეცხადებინა საგარეჯოს და ნინო-წმინდას და არაოდეს გიორგიწმინდას. საგარეჯოს იმისთვის, რომ რაც შეჰხვდა, თითქმის სულ 30—40 ვერსის სიშორეზედ, და მეორე მისთვის, რომ ბევრი დაჰყვა მათს საზღვრებში ხევები, კლდეები, ხრიოკი და ნაკლებ გამოსადეგი ადგილები. ნინოწმინდას კიდევ იმისთვის, ჯერ ერთი, რომ ორგან გაწყდა მათი მამული და მეორე—რაღაც უშნოდ, უხეირო ჩურჩხელასავით გაგრძელებული გამოვიდა. გიორგიწმინდის წილადობა-კი ლამაზად არის შემორგვალებული, მახლობელი მამულები და მასთან სულ საუკეთესო ვაკე და სარწყავი მინდვრებია.

რა წარმოსადგენი იყო, თუ გიორგიწმინდა ოდესმე უკმაყოფილებას განაცხადებდა ამ განყოფის გამო! გულითაც რომ სდომებოდათ მის მონაწილეებს ერთი რამ დაბალის ღირსების ადგილი მიეწყოთ მათთვის, შეუძლებელი იქმნებოდა, რადგან, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, იმათს გასადევარს სულ საუკეთესო ადგილები გაჰქონდა. რომ მოსახერხებელი ყოფილიყო უხეირო მამულების ურმით მიტანა, მიუზიდავდნენ გარეჯელები და ნინოწმინდელები, ოღონდ ყველაფერი საუკეთესო იმათში არ დაჰყოლოდა. მაგრამ დახე უმადურობასა! გაუმაძღრობას! ნინოწმინდელები და გარეჯელები სრულნი კმაყოფილნი არიან ამ განყოფით, კომლეულადაც იყოფენ ერთმანეთშიაო, როგორც მესმის (ნინოწმინდელებს კიდეც გაუყვიათ კომლეულად), და გიორგი წმინდელები-კი დადიან და შესტირიან ცასა და დედამიწას: თუმცა ჩვენ ყველა მონაწილეზედ უკეთესი ლუკმა გვერგო, მაგრამ, შეისმინეთ ჩვენი აჯა, გვიშველეთ რამ, ეს არა გვყოფნის და სხვისი წილადობაც ჩვენ გვიწილადეთო.

ბ-ნმა მაზრის უფროსმა არ დასტოვა უყურადღებოდ ეს მათი უკმაყოფილება. გამოიწვია ყველა მამასახლისები ამორჩეულის კაცებით, მოისმინა გულდასმით გიორგი-წმინდელების აბდა-უბდა ლაპარაკი და, აღჭურვილმა უსაზღვრო მოთმინებით ჩამოაგდო მათ შორის სრული თან-

ვერ განვიხილავთ და, ჩემის აზრით, არც საჭიროა, რომ განვიხილოთ. ჩვენ გადავწყვიტეთ, სხვაგან შევიძინოთო, და უნდა ასეც მოვიქცეთ.

ხმ. ა. ს. ბაზოვი. მეც ხუდადოვის აზრისა ვარ. საზოგადოებას უარი შევუთვალოთ.

ხმ. ბ. ქვანგულოვი. საზოგადოება ისეთს პირობას გვიდებს, რომ მათის წინადადების მიღება ყოვლად შეუძლებელია.

ხმ. ნ. ი. თამამშევი. მაგ საქმის აგრე ადვილად გადაწყვეტა არ შეიძლება. ჩვენ 180 ათას მანეთად ვერასოდეს ვერ შევიძენთ საჭირო მასალას. ამიტომ საზოგადოების წინადადებას უფრო ყურადღებით უნდა მოვექცეთ. ეგ საგანი გადავდოთ და შემდეგ განვიხილოთ.

ხმ. შახაზიზოვ-კამსარაკანი. მე ძალიან მაკვირვებს გამგეობის მოქმედება. ჩვენ განსაკუთრებული ტეხნიკოსთა კომისია გვყავს და გამგეობამ ამ საგნის განხილვის დროს ეს კომისია არც-კი მოიწვია. კომისია რომ მიეწვია, დღეს ამ სამარცხვინო მოხსენებას არც მოვისმენდით.

გამ. წევრი კერმიშევი. (საშინლად აღელვებული დაიყვირებს) როგორა ჰბედავთ თქვენ მაგის თქმას.

ხმ. შახაზიზოვ-კამსარაკ. უსახელო საზოგადოება...

კერმიშევი. (უფრო მაღლა დაიყვირებს) ეს რა საძაგლობაა! (ამ სიტყვებიდგან ერთად ფეხზედ წამოდგა და შახ-აზიზოვისაკენ გაიწია. სხვა ხმოსნებიც ადგილებიდგან წამოხტნენ და მათ შუა ჩადგნენ. შ ხაზიზოვი და ვერმიშევი დიდხანს უყვიროდნენ ერთმანეთს. თავმჯდომარე ემუდარებოდა ვერმიშევს, დაწყნარდითო). შემდეგ ცოტა ხნობით კრება შესწყდა და ხმოსნები გარეთ გავიდნენ. კრების განახლებისას თავმჯდომარემ შახაზიზოვს სთხოვა ბოდიში მოეხადა არა-საკადრისის სიტყვების წარმოთქმის გამო.

ხმ. შახ-აზიზოვი. შეიძლება ერთი მეტი სიტყვა წამომცდა, მაგრამ მე გული მეწვის და იმიტომ ვლაპარაკობ ასე. მე თვით ვმსახურებდი ამ კომისია'ში, კარგად ვიცი საქმის გარემოება და მიკვირს, გამგეობა ასე როგორ იქცევა.

ამის შემდეგ კრება დაიშალა.

## „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წლიური საერთო კრება.

30 მაისს, 1898 წ.

კრების სხდომა დაიწყო $8\frac{1}{2}$ საათზედ თავმჯდომარის ამხანაგის ნ. ცხვედაძის თავმჯდომარეობით. ბ-მა ნ. ცხვედაძემ მოახსენა კრებას, რომ ამ ორის კვირის წინად გარდაიცვალა საზოგადოების წევრი ალ. როინაშვილი, რომელმაც მთელი თავისი მოძრავი ქონება საზოგადოებას უანდერძა. მიცვალებულის პატივსაცემლად თავმჯდომარემ სთხოვა კრების წევრთ ფეხზედ წამომდგარიყვნენ. მთელი კრება ფეხზედ წამოდგა.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ოქმი წარსულის წლის საერთო კრების სხდომისა. ოქმი შეუცვლელად დაამტკიცა კრებამ.

თავმჯდომარემ ამის შემდეგ ჰკითხა კრებას წაკითხულიყო ანგარიში თუ არა. კრებამ არ ისურვა წაკითხვა ანგარიშისა, რადგან იგი ყველა წევრებს წინადვე ჰქონდათ გაცნობილი. მაშინ წაკითხულ იქმნა მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ. შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა კრებას თავისი აზრი და შენიშვნები წარმოეთქვას ანგარიშის შესახებ რიგით. ამ დროს კრებაზე მობრძანდა საზოგადოების თავმჯდომარე თ. ილია ჭავჭავაძე და დაიჭირა კრების თავმჯდომარის ადგილი. პირველად დაიწო ლაპარაკი სკოლების შესახებ.

მ. ნასიძე. ანგარიში მოგვითხრობს, რომ სოფლის სკოლებში ბავშვები რიგიანად არ დაიარებიან, გვიან შემოდიან და ადრე ანებებენ სწავლას თავსო. რა არის ამის მიზეზი, რატომ გამგეობას არ გამოუკლევია. რით აიხსნება უგულობა სოფლელებისა ჩვენის სკოლების მიმართ, როდესაც მთავრობის ანგარიშიდგან ვხედავთ, რომ ჩვენი ხალხი ძალიან თანაგრძნობით ეკიდება სკოლას. ამას გარდა ანგარიშში აზრთა წინაამდეგობაა. ერთ ადგილს გამგეობა სწერს, რომ ბავშვები არ დაიარებიან სკოლაშიო, მეორე ადგილს-კი გვარწმუნებს, რომ სკოლაში საქმე კარგად მიდისო.

ალ. ჭუმბია. ანგარიშში არაფერი წინააღმდეგობა არ მოიპოვება. ვთხოვ ბ-ნს ნასიძეს გვიჩვენოს ის ადგილები ანგარიშისა, სადაც მისგან ნათქვამი წინააღმდეგობა არის.

ნ. ცხვედაძე. გამგეობამ ძალიან კარგად იცის რაც არის მიზეზი იმისი, რომ სოფლის სკოლებში ბავშვები რიგიანად არ დაიარებიან. ეს მიზეზი საზოგადოა მთელის ტფილისის გუბერნიისთვის და არ არის მართალი, ვითომ მთავრობის სკოლებში არ შეინიშნებოდეს იგივე მოვლენა, რაც ჩვენს სკოლებში. იმ სოფლებში, სადაც ცხოვრობს მარტო გლეხობა, რომელიც მისდევს მიწის კეთებას, ყველგან აგრეა: ბავშვებს ამუშავებენ მინდვრებში, ვენახებში და სკოლაში მხოლოდ თავისუფალს დროს გზავნიან. ხოლო იქ, სადაც თავად-აზნაურობა და ხელოსნები ან მოვაჭრეები ცხოვრობენ, სკოლაშიც უფრო რიგიანად დაიარებიან ბავშვები.

მ. ნასიძე. მე მთხოვე'ს მეჩვენებინა ის ადგილები ანგარიშისა, სადაც წინააღმდეგობაა. აი ბატონებო. ბ-ნი ნასიძე კითხულობს ადგილებს, სადაც ერთის მხრით ნათქვამია, რომ ბავშვები ურიგოდ დაიარებიან სკოლაში და მეორე მხრით მასწავლებლები მუყაითად იქცევიან და რაც შესძლებიათ, გაუკეთებიათო.

ალ. ჭუმბია. მანდ წინააღმდეგობა სულაც არ არის. ბავშვები რომ რიგიანად არ დაიარებოდნენ, განა მასწავლებლებს არ შეუძლიანთ მუყაითობა გამოიჩინონ?

ივ. აბაშიძე. სოფლის სკოლების მდგომარეობაში გამგეობას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, მაგრამ ქალაქების სკოლებისაში-კი დიდი. აი, მაგალითად, ავიღოთ ქუთაისისა და სენაკის სკოლები. შარშან ქუთაისის სკოლის ინსპექტორმა ღოღობერიძემ რომ სამსახურს თავი დაანება, გამგეობამ სკოლის სამზრუნველო კომიტეტის დაუკითხავად დანიშნა ინსპექტორი. ეს დაუკითხავობა კომიტეტს და მთელს ადგილობრივს საზოგადოებას საწყენად დარჩა. ეს იყო დარღვევა მათის უფლებისა.

ნ. ცხვედაძე. ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისთვის მის დაარსებითგანვე არსებობს ინსტრუქცია, რომლის ძალითაც ინსპექტორს ამწესებს გამგეობა. მართალია, გამგეობამ სთხოვა კომიტეტს ბ-ნის ვ. ყიფიანის სამსახურიდგან გადადგომის შემდეგ, თუ მანდ ინსპექტორობის მსურველი იყოს ვინმე, მათი თხოვნა გამოგვზავნეთო. ღოღობერიძის გადადგომის შემდეგ-კი გამგეობას არ მიუმართავს ამ ნაირად, რადგან არ დაინახა საჭიროდ.

ი. აბაშიძე. მაინც უნდა დაჰკითხებოდა გამგეობა კომიტეტს.

ი. გოგებაშვილი. როდესაც ვ. ყიფიანმა სამსახურს თავი დაანება, გამგეობას სურდა ასარჩევად ბლომად ჰყოლოდა კანდიდატები. ამიტომ სთხოვა სკოლის კომიტეტს გამგეობისთვის გაეგზავნა იმ პირთა თხოვნები, რომლებიც ინსპექტორობის სურვილს გამოუცხადებდენ და თავისი აზრიც შეეტყობინებინა როგორც მთხოვნელებისა, ისე იმათ შესახებ, რომელნიც მისის აზრით ინსპექტორად გამოადგებოდენ. კომიტეტმა ეს თხოვნა არ შეასრულა, იმან არ აცნობა გამგეობას, თუ ვინ იყვნენ მთხოვნელნი და ინსპექტორობის მსურველნი. ყველა ამის ნაცვლად კომიტეტმა მოსწერა გამგეობას: ჩვენ განვიხილეთ რამდენისამე კაცის თხოვნა ინსპექტორობის შესახებო, და დავადგინეთ, რომ ს. ღოღობერიძე იქმნას არჩეულიო. გამგეობამაც მიიღო სახეში, რომ ღოღობერიძის არჩევა ყოფილა კომიტეტისა და ადგილობრივის საზოგადოების სურვილიო და ამიტომ ხმის უმეტესობით იგი იქმნა არჩეული. ღოღობერიძის გადადგომის შემდეგ კი გამგეობას ეშინოდა საქმე არ გამწვავებულიყო, აყალ-მაყალი არა გამოსულიყო-რა და ამიტომ კომიტეტის დაუკითხავად და დროს დაუკარგავად დანიშნა ალ. გარსევანიშვილი. აქა ბრძანეს, რომ გარსევანიშვილის დანიშვნამ კომიტეტის დაუკითხავად უსიამოვნება გამოიწვია კომიტეტსა და გამგეობის შუაო. ჩვენ რომ ასე არ მოვქცეულიყავით, დარწმუნებული ვართ, უფრო დიდი უსიამოვნობა მოხდებოდა.

გ. თაყაიშვილი. აქ იკითხეს, რატომ კომიტეტს არ დაეკითხა გამგეობაო. ამას გრძელი პასუხი არა სჭირდება. გამგეობას სრული უფლება ჰქონდა არ დაჰკითხოდა და ამიტომ არ დაეკითხა. თუ სხვა შემთხვევაში დაჰკითხებია, ეგ გამგეობის სურვილით მომხდარა. განა ერთხელ ან ორჯერ რომ გამგეობა დაჰკითხებოდა კომიტეტს, ამით ის მოვალე უნდა გამხდარიყო ყოველთვის ისე მოქცეულიყო?

ა. დულაძე. მეც ი. აბაშიძის აზრისა ვარ. გამგეობა უნდა დაჰკითხოდა კომიტეტს, რადგან ეს კომიტეტი არის ნამდვილი გამგე სკოლისა.

ბ. სურგულაძე. გამგეობა უნდა დაჰკითხოდა კომიტეტს, ეთხოვნა, რომ მას წარმოედგინა კანდიდატები და თუ მათ შორის არავინ მოეწონებოდა, მაშინ სხვა კანდიდატების დასახელება მოეთხოვნა.

ი. რატიშვილი. ან. დულაძემ ბრძანა, კომიტეტი არის ნამდვილი გამგე სკოლისაო. ეს მართალი ბრძანება არ არის. ეს მე გამოცდილებითაც ვიცი. ნამდვილი გამგე ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისა არის ჩვენი გამგეობა. კომიტეტი მხოლოდ ნივთიერად განაგებს სკოლას გამგეობის მინდობილობით.

კრებამ დაავალა გამგეობას მომავალის კრებისთვის წარმოადგინოს განსახილველად წესები, შედგენილი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის სამზრუნველო კომიტეტისთვის.

ივ. აბაშიძე. ვთხოვ გამგეობას მომცეს ამის პასუხი: მართალია, თუ არა, რაც გაზ. „კვალში" იყო დაწერილი სენაკის სკოლის შესახებ. სწორედ არის ამოწერილი ყველაფერი ოქმებიდგან, თუ დამახინჯებულია.

გამგეობის მდივანი დ. კარიჭაშვილი.

---

ხმობა და მორიგება. ჭეშმარიტად საქებია ბ-ნი მაზრის უფროსი, რომ ის ყოველთვის სცდილობს ამისთანა შემთხვევებში შინაურულად მოარიგოს ერთმანეთში ჩვენი მუდამ მოურიგებელი და შეუგნებელი ქართველი ხალხი. გარეჯელებმა მისცეს მაშინ გიორგიწმინდელებს ხელწერილი, — რომ, რადგან გიორგიწმინდელები სწუნობენ ალინჯას და თუმცა ალინჯა არ არის სამხროდ გარეჯელებისათვის, მით მაინც იღებენ ისინი (გარეჯელები) ალინჯაში თავის მონაწილეობას, ე. ი. ოთხ მეხუთედს ნაწილს და მის სამაგიეროდ აძლევენ გიორგი წმინდელებს ერთს ხოდაბუნების ადგილს იორ გამოღმა და ერთს ფერდობს „ვაშლიანის სერზედ".

მერე, რა გამოვიდა აქედგან? სრულიადაც არაფერი. ის გიორგი-წმინდელები, რომლებიც მხოლოდ ამასა თხოულობდნენ, ამის გულისთვის იმტვრევდნენ თავ-პირს, ეხლა ისევ აიშალნენ. პირ იქით, თუ გამწვავდა. საქმე, სწორედ რომ ეხლა გამწვავდა. იქნებ ჰფიქრობდეთ, რომ გიორგიწმინდელები რასაც სჩივიან, გულის წმინდითა სჩივიანო? იქნებ გეგონათ, რომ ისინი მის დღეში შეელეოდნენ ალინჯას? დამერწმუნეთ, რომ არა და ათასჯერაც არა. ალინჯა მათი კარის მამულია, ის იმათი ეზოა, უიმისოდ ისინი ფეხებ-დაჭრილები იქმნებიან. თავებს დაიხოცავენ და ალინჯას-კი ხელიდგან არ გაუშვებენ. ეს ისე, მხოლოდ მიზეზად ჰქონდათ მოდებული. ჰფიქრობდნენ: ამაში ხომ არავინ იკისრებს მონაწილეობას, რადგან არავისი სამხრო არ არის და, მოდი, ეს მოვიმიზეზოთო. მაგრამ დახე მათს უბედობას! წარმოიდგინეთ, იმოდენი სულგრძელობა გამოიჩინეს გარეჯელებმა მათთან შედარებით, რომ ამ შეუძლებელზედაც-კი დაეთანხმნენ. და რა მოჰყვა ამას? თოფის სროლა და არევ-დარევა სოფლებისა. აბა ნამდვილი უბედურება ამასა ჰქვიან: არ დაეთანხმები, — უკმაყოფილონი არიან და დაეთანხმები, — უარესად უკმაყოფილონი შეიქნებიან.

მაშ სად არის ჩამარხული ის ნამდვილი მიზეზი, რომ გიორგი წმინდელები ესე თავ გამოდებით იბრძვიან, არა სასარგებლოდ თავისი თავისა ბ არც თუ სასარგებლოდ თავისის მოყვასისა? მაგის მიზეზს ვერ გამოჰპირავენ ისინი ვერასოდეს და თუ მიზეზიანობენ ეხლა რასმეს, — ეგ ისე, უბრალოდ ლობე-ყორეს ედებიან, ჰგონიათ, თუ ვისმე თვალებს აუბავენ. მაგისი ნამდვილი მიზეზი სრულიად სხვაა. მე მოგახსენებთ, თუ გნებავთ, მაგის ნამდვილ მიზეზს, ხოლო გთხოვთ უმორჩილესად, რომ ეს ჩემი ნალაპარაკევი გიორგი წმინდელების ყურში არ ჩააგდოთ.

გიორგი წმინდელები ძალიან მხნე და გამრჯე ხალხია, ჰყავთ დიდ-ძალი საქონელი, გამოუვათ ასზედ მეტი სრულად შებმული გუთანი. ქება და დიდება ამგვარის საქმისათვის, მაგრამ ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ აქაო-და, ისინი შეძლებულნი არიან, ნება ჰქონდეთ — ყველა შეუძლებელი თუ უხარო ხალხი სულ იორში გადუძახონ. საგარეჯო ოთხჯერ მეტია იმათზედ და სრული შებმული გუთანი-კი ბევრად იმათზედ ნაკლები აქვთ. აქედგან ადვილი წარმოსადგენია, თუ ვის ხელში ყოფილა აქამომდე მომეტებულად საგარეჯოს საზიარო მამულები? მე შემიძლიან გაბედვითა ვთქვა და არც თუ ისე გაზვიადებული იქმნება ეს ჩემი ნათქვამი, რომ ორას კომლიანს გიორგი წმინდას ერთი ორად მეტი ეჭირა მამულები რვაას (მარტო მოხარჯეთა რიცხვია) კომლიან საგარეჯოზედ. ეხლა, გაყოფვის შემდეგ, ევიწროვა მას თავისი კალაპოტი, ეცოტავა ნამდვილ წილადობაზედ მიწყული მამულები და სულითა და გულითა სცდილობს მოშალოს როგორმე, რომ კვლავ უწინდებურად ფართოდ გაშალოს ფრთები საზიარო მინდვრებში. მაგრამ როგორც სჩანს საქმიდგან, გარეჯელებიც გონს არიან მოსულნი და არა მგონია, თუ დღეის შემდეგ იმათ-ღა იკენკონ რამე. დღეს გარეჯელსა და ნინოწმინდელს კარგადა აქვთ შეგნებული, რომ ისინიც კანონიერი მონაწილენი არიან საზიარო მამულებისა და თუ აქამომდე ძალ-მომრეობისა გამო ვერ სარგებლობდნენ თავისის მონაწილეობით, დღეს შეუძლიანთ ისარგებლონ. დღეს უხარო გარეჯელს შეუძლიან ღალით მისცეს თავის წილხვედრი მამული იმავე გიორგი წმინდელს და იმ ღალით გაისტუმროს სახელმწიფო ხარჯი, ანუ გამოჰკვებოს თავისი, პურის ლუკმას დანატრუნებული, ცოლშვილი. ნუ თუ საფიქრებელია, რომ უხარო გარეჯელნი, რომელთა რიცხვი ლეგიონია, დასთანხმდნენ გიორგიწმინდელების თავზედ გაჯიუტებას, მათს უსინიდისო თავ-წასულობას და არ შეუთვალონ: გეყოთ, რაც აქამდე ჩემის ლუკმით თქვენი ცოლშვილი ასაზრდოეთ; ეხლა მე მინდა ჩემი ლუკმა ჩემსავე შვილს მივაწოდო, რომ ჩემი სინსილაც არ გასწყდეს ამ ქვეყანაზედაო.

ასე ვეუბნებოდი მე თითონ გიორგიწმინდელებს და, ხომ მოგეხსენებათ, მართლის მთქმელი არავის ეპიტნავება. ამის გამო მიწოდეს გიორგი წმინდელებმა „საგარეჯოს მამად და გიორგიწმინდის მამინაცვლად", მაგრამ — „გული წმინდა დაბადე, უფალო ჩემთანა" — და იმათ, რაც უნდა მიწოდონ, ეს ჩემთვის სულ ერთია. მე ეხლაც ვურჩევ გიორგი-წმინდელებს: იყვნენ თავიანთს ქერქში და ნუ ამღვრევენ უბრალოდ წყალს, თორემ ის კაკანათი, რომელიც მათ დაუდგავთ, ვითომ, მარტო გარეჯელებისათვის, შიგ მოიყოლიებს კიდევ, სხვების გარდა, თვით გიორგიწმინდასაც თავისის საწყალის ანთოკით.

ლადო აღნიაშვილი

ცოტა დამახინჯებულია. რევიზიის მოხსენებაში და გამგეობის ოქმშიაც აღწერილია ყოველივე გარემოება, როგორც სკოლის ინსპექტორის, ისე მასწავლებელთა შესახებ, დაწვრილებით და გარკვევით დახასიათებულია მოქმედება ერთისაც და მეორეთაც. გამოაშკარავებულია როგორც სიმართლე, ისე დანაშაული ინსპექტორისაც და მასწავლებლებისაც. გაზეთის წერილის დამწერი-კი მხოლოდ ინსპექტორს მისჩერებია, სარევიზიო კომისიის მოხსენებიდგან ამოუკრეფია მხოლოდ ის, რაც მის წინააღმდეგ იყო ანუ მის მოქმედებას ცუდად სახავდა, ხოლო ხმა არ არის ამოღებული მასწავლებლების დანაშაულის შესახებ და არც ერთი იმისთანა შემთხვევა არ არის დასახელებული, როდესაც ყოფიანი მართლდება მასწავლებლების ბრალდებათაგან. წერილი ცალმხრივანია.

მ. ნასიძე. რად შესცვალა გამგეობამ თავისი პირველი დადგენილება, რომელიც უფრო შესაფერი იყო!

(დასასრული იქნება)

## დრამატიულ საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

(დასასრული*)

შემდეგ კრება შეუდგა გამგეობის ახალის წევრების არჩევას. ძველმა წევრებმა ყველამ უარი განაცხადეს სამსახურისა. კრება სთხოვდა, დარჩითო, მაგრამ იმათ სთქვეს: არ შეგვიძლიანო. ბარათებით აღნიშნეს კანდიდატები. კანდიდატებად დასახელებულ იქმნა ბარე 25 კაცი. ამათგან ყველამ უარი განაცხადა, ოთხის გარდა. საჭირო კი იყო შვიდი წევრი გამგეობისა და სამიც სარევიზიო კომისიისა. ატყდა საშინელი აურზაური. გამგეობის ძველ წევრებს სთხოვეს, დარჩითო.

თ. გ. აბაშიძე. ბატონებო, არ შემიძლიან, არ ვვარგივარ ამ საქმისთვის და არც მინდა ვიმსახურო იქ, სადაც არაფრის გაკეთება არ შემიძლიან.

საზოგადოება სთხოვს ბ ნს გუნიას დაიდგას ყუთი.

გ. გუნია. დიდის სიამოვნებით, მხოლოდ ერთის პირობით, თუ შესაფერსა და მშრომელს ამხანაგებს ამომირჩევთ. მე შრომა მიყვარს, მაგრამ ყველასთან სამსახური არ შემიძლიან.

ყველანი და უფრო-კი კოტე მესხი: გთხოვთ! გთხოვთ! ПРОСИМЪ! „ПРОСИМЪ" უძახეს გ. ლასხიშვილს, ს. ვახვახიშვილს, პეტრე ყიფიანს, გ. ჟურულს, გ. ყიასამიძეს... მაგრამ ვერას გახდა კრება. არავინ არ ინება კენჭის ყრა და გამგეობის წევრობა. ბოლოს თავმჯდომარემ სთქვა: რაკი არავისა ჰსურს გამგეობის წევრობა, ამ ხუთს კაცს, რომელთაც ისურვეს საზოგადოების სამსახური, კენჭი ვუყაროთ, ამოვირჩიოთ ხუთი წევრი და დანარჩენი მერე შევავსოთო.

კვლავ აირია საზოგადოება. გაისმა: „გთხოვთ! ПРОСИМЪ"! მაგრამ კვლავ მსურველი არავინ აღმოჩნდა. ბოლოს დადგეს ყუთები, უნდა ჩამოეტარებინათ კენჭი იმ ხუთის კაცისთვის. ასე იყო თუ ისე, საქმე თავდებოდა... წამოდგა ბ-ნი ვ. აბაშიძე და ხმა მაღლა დაიძახა: „ეს რას შვრებით, ბატონებო, ხუთ კაცს, სრულიად ახალ'ა და ხამს კაცებს, უგდებთ ხელთ ამისთანა სამძიმო საქმეს! ეს სადა თქმულა?! მაგათ რა უნდა გაგვიკეთონ"!

კოტე მესხი. (უფრო ხმა მაღლა) მართალია! როგორ შეიძლება!

კვლავ აირია მონასტერი. კვლავ დაიწყეს: „გთხოვთ! ПРОСИМЪ"! კვლავ ძველი გამგეობა აცხადებს: „ბატონებო, აგერ ერთი წელიწადი გავიდა, ვერა გავაკეთეთ-რა, ვერა მოვახერხეთ-რა, რა გინდათ ახლა ჩვენგან"?.

ხმა გაისმა. არაფერზედ ნაკლების გაკეთება ვის გაუგონია! ხამები იქნებიან, თუ გამოცდილები ახალი წევრები, „არაფერზედ" ცოტას როგორ გააკეთებენ!

ვ. აბაშიძე. არ გვინდანან!

გ. გძელიშვილი. (გამგეობის წევრად ახლად დასახელებული კანდიდატი). ღმერთმანი, მე ვერა გამიგია-რა, რა ხდება აქ! უარს განაცხადებ გამგეობის წევრობაზედ,—გიკიჟინებენ, რატომ არ გინდა საზოგადოების სამსახურიო; განაცხადებ სურვილს ყუთის დადგმისას—აქვე პირში შეურაცხებას გაყენებენ: არ გვინდანან, ეგენი ხამები არიანო! გარდა ამისა, მე წინააღმდეგი ვარ იმის, რომ აქ ერთი-ორი კაცი ჰყვირის საზოგადოების სახელით. როდის მიანდო მათ საზოგადოებამ ვექილობა?

კრება უფრო აყაყანდა. მოქანცულმა თავმჯდომარემ გამოაცხადა: 5 წუთით შევწყვეტავ კრებას, მოიფიქრეთ, ვინ ავარჩიოთ გამგეობის წევრებადაო.

ძველის გამგეობის წევრნი გავიდნენ ცალკე ოთახში სათათბიროდ. დაიწყო კვლავ სხდომა. წაიკითხეს გამგეობის მიერ კანდიდატების ახლად შედგენილი სია. ამ სიიდგან აღმოჩნდა, რომ ძველი გამგეობის წევრთა უმეტესობა თანახმაა კენჭი იყაროს.

თ. გ. აბაშიძე. რაკი არ გვეხსნებით, ბატონებო, რას ვიზამთ, უნდა ჩვენი თავი მსხვერპლად შემოგწიროთ! ხოლო იცოდეთ, რომ ვერაფერს ვერ გაგიკეთებთ!

ხმები. Просимъ, просимъ!

ყუთების დადგმას აპირებდნენ, რომ გ. გძელიშვილმა იკითხა: ეს რა ხდება, ვერა გამიგია-რა! კრების მიერ ბარათებით არჩეული კანდიდატები აღარა სჩანან და დაფარულად შედგენილ სიის კანდიდატებს-კი ყუთს უდგამთ?!

ხმაურობაა. აღარა იმის-რა თავმჯდომარე გაცხარებით ზარს ჰრეკავს.

ბ-ნი შიხანოვი. ბატონებო, თითქოს წელან დიდ უარზედ იდექით, ეხლა რომელმა ნიავმა დაჰბერა, რომ ძველის გამგეობის წევრნი თანახმანი ხართ და ჩვენი ხსენებაც-კი აღარ არის.

თ. გ. აბაშიძე. თანახმანი ვართ იმიტომ, რომ ერთმანეთთან შეგვიძლიან სამსახური, უცხოებთან-კი არა.

გ. გძელიშვილი. ბატონებო, ჩვენს საზოგადოებას წესდება აქვს, იქ მოხსენებულია წეს-რიგი არჩევანებისა, უნდა დავადგეთ იმას და არ ვიხელმძღვანელოთ მიკერძვით შედგენილ სიებით!

თავმჯდომარე. ბატონო, ყველას დავუდგამთ ყუთს, ვინც-კი დღეს აქ კანდიდატად იყო დასახელებული.

კითხულობს კანდიდატების სიას.

მ. ნასიძე. (როცა იმის სახელს ამოიკითხავენ) ბატონო თავმჯდომარევ, მე ვხედავ აქ სურვილს რაღაც ახალ მოდის „ამხანაგობის" შედგენისას და არა გამგეობისას ისე, როგორც წესდება თხოულობს, ამიტომ გთხოვთ ამომშალოთ სიიდგან, არ დავიდგამ ყუთს.

ხმა. გთხოვთ, ПРОСИМЪ!

ა. ასნაშაროვი. ბატონებო, ასეთი აჩქარებული არჩევანები არაფერს ეგვანება. გარდა ამისა, ჩვენ ძალად ვირჩევთ ისეთ კაცებს, რომელნიც გარდაწყვეტილს უარს აცხადებენ სამსახურისას. რომ არა გააკეთონ-რა, რა გვეთქმის ჩვენ. არა სჯობია, გადავდოთ კრება, მოვიფიქროთ, მოვძებნოთ კაცები, დავითანხმოთ და მერე ისე ავირჩიოთ.

კვლავ აურ-ზაური ასტყდა. ბოლოს გამგეობის წევრთა არჩევანი გადადებულ იქმნა პარასკევს, 5 თიბათვისათვის. კრება დაიწყება საღამოს 7 საათზედ.

*) იხილე „ივერია", № 114.

# უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** გაზეთების სიტყვით, გემი „Merrimos", რომელიც სანტ-იაგოს ნავთ-სადგურის შესავალში იქმნა ჩაძირული, 350,000 დოლლარი ღირდა. ადმირალს სამპსონს აზრადა აქვს რამდენიმე სხვა გემი კიდევ ჩაძიროს შესავალში, რომ სერვერის ესკადრა სრულიად ჩაჰკეტოს და ადმირალის კამოჩის ესკადრასთან შეერთების ნება აღარ მისცეს. შეერთებულის შტატების კონგრესმა დიდი მადლობა გამოუცხადა იმ რვა ზღვაოსანსა და ლეიტენანტს გობსონს, რომელთაც გემი „Merrimos"-ი ჩასძირეს. გარდა ამისა გობსონმა კაპიტნობა მიიღო. ამბობენ, რომ როდესაც სამპსონმა მოიწვია ზღვაოსნები და შეეკითხა, ვინ იკისრებს ამ საქმეს და ვინ ჩასძირავს გემსაო, ათას კაცზედ მეტმა განაცხადა სურვილიო. მაგრამ სამპსონმა მხოლოდ ლეიტენანტ გობსონს და რვა ზღვაოსანს მიანდო ამ მეტად მძიმე საქმის სისრულეში მოყვანა, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, მეორე დღეს ამ ამბის შემდეგ ადმირალმა სამპსონმა გადასხა სანტ-იაგოს ნაპირზედ ჯარი, რომელიც მეამბოხეთა რაზმს შეუერთდა. ამ რიგად ადმირალი სერვერი ორ ცეცხლ შუაა მომწყვდეული: ცალ მხარეს ამერიკის ძლიერი ესკადრა, რომელიც თითქმის 20 სამხედრო გემისაგან შესდგება და მეორეს—მეამბოხეთა და ამერიკელთა ჯარი. ეჭვი არ არის, ამბობენ გაზეთები, რომ სერვერი მალე იძულებული გახდება ამერიკელებს დამორჩილდეს. მით უმეტეს, რომ შეერთებულის შტატების მთავრობამ, როდესაც ადმირალის შლეისაგან ამბავი მიიღო, რომ სერვერის ესკადრას ნავთ-სადგურიდგან გამოსვლა აღარ შეუძლიანო, გადასწყვიტა დაუყოვნებლივ ახალი ჯარი გაგზავნოს სანტ-იაგოშიო.

— გაზეთები იუწყებიან, რომ წარსულ პარასკევსა და შაბათს მადრიდის მცხოვრებელნი საშინლად აღელვებულნი იყვნენო. საქმე ის არის, რომ ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ადმირალი სამპსონი მეორედ დაეცა სერვერის ესკადრას და რამდენიმე გემი კიდეც გაანადგურაო. დილის 4 საათზედ ახალშენთა მინისტრმა გრძელი დეპეშა მიიღო ამ ბრძოლის შესახებ, მაგრამ გაზეთებმა იმის შინაარსი ვერ გაიგეს, რადგანაც მთავრობა ამ დეპეშას საიდუმლოდ ინახავს და ჯერ-ჯერობით არავის არაფერს ეუბნება. ათასგვარი ხმა დადის ამ დეპეშის შესახებ: ზოგი ამბობს, დეპეშაში ნათქვამია, რომ ესპანელებმა დაამარცხეს ამერიკელებიო, ზოგი კიდევ წინააღმდეგს—ამერიკელებმა სრულიად გაანადგურეს ესპანიის ესკადრაო.

—

**ავსტრია.** ჩეხიის 129 ქალაქმა, რომლის მცხოვრებელნიც უმთავრესად ნემეცები არიან, გადასწყვიტეს ურთიერთ შორის კავშირი დასდონ, რომ საერთო ძალით ებრძოლონ ჩეხებს. ამ კავშირის წესდება მათ წარუდგინეს მთავრობას, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ შეიწყნარა იგი. ნემეცებმა ამის შემდეგ დაადგინეს, სრულიადაც საჭირო არ არის მთავრობის ნება-რთვა, უიმისოდაც კარგად განვახორციელებთ ჩვენს განზრახვასაო.

# დამაკვირდი

მხედარი ვითარ გვირგვინოსან იქმნე და იდიდოს, უკეთუ განწყობილთა არა ეკვეთოს მრავალგზის?

გ. მ. ცხ. აღმწერელი

* * *

ვითარ საცნაურ იქმნეს მენავეთ-მოძღვარი, უკეთუ ღელვათა შინა ზღვისათა არა გამოიცადოს?

გ. მ. ცხ. აღმწერელი

* * *

უსკვებით მასწავლი გლახაკთა უზრალოდ და სიმართლით შეკრებილსა შენსა საზმარსა.

ილარიონ ქართველი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1 ივნისი

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა ხელი მოაწერა სამხედრო ხარჯის ბილლს. ხაზინა ჰმართავს ხელის მოწერას 3% ობლიგაციებზედ 200 მილიონ მანეთის მოსაგროვებლად. ხელის მოწერა დამთავრდება 14 ივლისს.

**მადრიდი.** საზოგადო აზრი არ ეთანხმება უცხო სახელმწიფოთა ჟურნალ-გაზეთობას მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ. გენერლები ამბობენ, რომ ისპანიას შეუძლიან იომოს კუბაზედ ორი წელიწადიო. მთავრობას სახელმწიფოთაგან არავითარი წინადადება არ მოსვლია მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ. თუნდ რომ მოსვლოდა, მაინც არ მიიღებდა და განაცხადებდა, რომ მთავრობას გარდაწყვეტილი აქვს იომოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდის. ყვითელმა ციებამ იჩინა თავი სამპსონის ესკადრაში.

**ნიუ იორკი.** კინსტონიდგან (იამაიკა) მოსული დეპეშა: „ამერიკის ზღვაოსანი ჯარი გადავიდა ხმელეთზედ გვანტანამის ყურესთან და ამერიკის დროშა აღმართა დანგრეულ სიმაგრეზედ. ჯარს გადასხმის დროს მტრისაგან იცავდნენ ამერკის სამხედრო გემები.

**ნიუ-იორკი.** გონკონგიდგან დეპეშით იუწყებიან: „დღეს მეამბოხეთა და ჯარს შორის მოხდა უკანასკნელი შეტაკება მანილიის დასაპატრონებლად. დევე არავითარს მონაწილეობას არ იღებდა შეტაკებაში, მხოლოდ თვალყურს ადევნებდა მეამბოხეთ, რომ მეტის-მეტი სისასტიკე და სიმკაცრე არ გამოეჩინათ. ამბობენ, მეამბოხეთ უკვე აიღეს ახალი მანილა და გამოუცხადეს გენერალ-გუბერნატორს, რომ თუ შენ არ გააუქმებ იმ მოწოდებას, რომლითაც ჯილდო ეძლევა აგვინალდოს თავის მომკვლელს, მაშინ შენც აღარავინ დაგინდობსო".

**პეკინი.** იმპერატორის ბრძანებისამებრ პეკინში უნდა დაარსებული იქმნას ისეთი უნივერსიტეტი, როგორიც არსებობენ ევროპაში. უმაღლესი მოხელეობა მიწვეულ იქმნა ამ პროექტის შესახებ მოსალაპარაკებლად.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობასა სწირავს ზუგდიდის წმ. სამების ეკკლესიის კრებული დიმიტრი ჰიჰინაძეს ასულს ანნას, პატარაიას მეუღლეს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულს ეკკლესიას შემოსწირა ერთი წყვილი აბრეშუმზედ თავისის ხელით ნაქარგი დაფარნები, თორმეტ მანეთად ღირებული.

მღვდელი ანდრია ვახანია


# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოებისა"

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები: აქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, მშვენიერის ყდით . . | 1 | „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი. სურათებით და მშვენიერის ყდით . . . | 1 | „ |
| სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს . | „ | 25 |
| ანვაზე საკერი ანბანი . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . | „ | 20 |
| ბიროემანსი. კარგარეთელისა . . . . . | 1 | „ |